



## შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

### პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/ნ-ის (2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე და განსაზღვრავს შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში“ პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების მოქმედ სისტემას.

კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

სასწავლო კურსის თეორიულ კომპონენტში 1 კრედიტი მოცავს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობას განსაზღვრავს კურსის მასწავლებელი და აისახება სილაბუსში.

სასწავლო კურსის პრაქტიკულ კომპონენტში 1 კრედიტი მოიცავს სტუდენტის დატვირთვის საკონტაქტო საათებს, ანუ 25 საათს.

კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდების ჩაბარებას.

გამოცდები ტარდება ზეპირად, წერილობით, ტესტების სახით ან კომბინირებულად. გამოცდის ჩატარების ფორმას განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი.

კოლეჯში ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რასაც არეგულირებს მოქმედი შეფასების სისტემა;

### შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% -100%;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

დასკვნით გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების აუცილებელი პირობააა შუალედურ გამოცდაში/გამოცდებში დადებითი შეფასების მიღება;

დაუშვებელია სტუდენტის საბოლოო შეფასება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შედეგის მიღების გარეშე. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

**თეორიული კურსის შემთხვევაში შეფასების კომპონენტები გულისხმობს:**

აქტიურობა (მიმდინარე შეფასება): ფასდება პროფესიული სტუდენტის ჩართულობა თეორიულ მეცადინეობაში, ყოველდღიური მასალის გამოკითხვა, სპონტანური გამოკითხვა, საშინაო დავალების დემონსტრირება-პრეზენტაციის უნარი.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს მინიმუმ ერთ შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, სტუდენტის აქტივობას, დემონსტრირებას, ტესტირებას და სხვ. შუალედური შეფასების ფორმას განსაზღვრავს პროფესიული მასწავლებელი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და სრულად გაწერს სილაბუსში.

შუალედური გამოცდა: ფასდება სტუდენტის ცოდნის დონე, დამახსოვრებული თეორიული მასალა, გადმოცემის უნარი. შუალედური გამოცდის ფორმას და შეფასების კრიტერიუმს განსაზღვრავს პროფესიული მასწავლებელი და აისახება სილაბუსში. საპატიო მიზეზით გამოცდაზე არდასწრების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს 10 დღის ვადაში ჩააბაროს მასალა მასწავლებელს.

დასკვნითი გამოცდის შეფასება: ფასდება სტუდენტის მიღწევები სასწავლო კურსის დასასრულს. გამოცდის ფორმას, შეფასების კრიტერიუმს არჩევს პროფესიული მასწავლებელი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და სრულად გაწერს სილაბუსში.

სასწავლო კურსის სწავლების პროცესში მიღებული სტუდენტის ცოდნის დონე და ხარისხი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, პროფესიული მასწავლებელი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტებს შორის ქულების გადანაწილებას სრულად გაწერს სილაბუსში.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისას პროფესიული მასწავლებლის მიერ კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება. დამოუკიდებელი მუშაობის შეფასების კრიტერიუმი მასწავლებლის მიერ შედგენილია ინდივიდუალურად და გაწერილია სილაბუსში.

### **სასწავლო პრაქტიკის კურსის შემთხვევაში შეფასების კომპონენტები გულისხმობს:**

**შუალედური შეფასება:** ფასდება პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარები, ჩართულობა პრაქტიკულ მეცადინეობაში, თეორიულ ცოდნაზე დამყარებული პრაქტიკული უნარების დემონსტრირების (პრეზენტაციის) უნარი, რომელსაც ის გამოავლენს რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციაში.

**დასკვნითი გამოცდა:** ფასდება პროფესიული სტუდენტის უნარი შეასრულოს კონკრეტული პრაქტიკული დავალება ან სამუშაო. დასკვნითი გამოცდა არის მაქსიმუმ 40 ქულიანი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, სადაც სასწავლო პრაქტიკა ინტეგრირებულია სასწავლო კურსებთან, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფასებები ხორციელდება ცალ-ცალკე, ორივე კომპონენტისათვის მისაღები, ადეკვატური ფორმით.

**საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში** პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მუშაობის შეფასება ხორციელდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის განმავლობაში. პრაქტიკული მუშაობის შეფასება საბოლოო შეფასებაში გაითვალისწინება 60 ქულით. დადებითი შედეგია 30 ქულა ან მეტი. 0-29 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება პრაქტიკის კომპონენტში უარყოფითია და ის დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდით ფასდება პროფესიული სტუდენტის უნარი შეასრულოს ოთხი კონკრეტული პრაქტიკული დავალება ან სამუშაო. საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა არის მაქსიმუმ 40 ქულიანი.

### **საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმი**

#### **1. მე-3 საფეხურის პროგრამისათვის:**

**10-9 ქულა (ძალიან კარგი):** პრაქტიკული დავალება ზუსტად და ამომწურავად არის შესრულებული, თეორიულ ცოდნას მიზნობრივად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში, დავალების შესრულების დროს იყენებს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელ უნარებს, სათანადო მეთოდებსა და მასალებს (ინსტრუმენტებს). ზუსტად აფასებს და ანალიზს უკეთებს პრაქტიკული საქმიანობის დროს წამოჭრილ პრობლემას.

**8-7 ქულა (კარგი):** -პრაქტიკული დავალება კარგად არის შესრულებული, შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარები, მაგრამ

დავალების შესრულებისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს. დავალების შესრულებისას იყენებს სათანადო მეთოდს, მასალების (ინსტრუმენტების) გამოყენებისას უშვებს შეცდომებს. პრაქტიკული საქმიანობის დროს წამოჭრილ პრობლემას აფასებს, მაგრამ მერყეობს გადაწყვეტილების მიღებაში, აკლია დამაჯერებლობა.

**6-5 ქულა (დამაკმაყოფილებელი):**-პრაქტიკული დავალება დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, სტუდენტი ავლენს დამაკმაყოფილებელ თეორიულ ცოდნას, რაც აისახება მის მიერ შესრულებულ პრაქტიკულ დავალებაში, რადგანაც უშვებს არსებით შეცდომებს, მერყეობს გადაწყვეტილების მიღებაში.

**4-1 ქულა (არადამაკმაყოფილებელი):**-პრაქტიკული დავალება არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, სტუდენტი ვერ ავლენს დამაკმაყოფილებელ თეორიულ ცოდნას, რაც აისახება მის მიერ შესრულებულ პრაქტიკულ დავალებაში.

## 2. მე-4 საფეხურის პროგრამისათვის

**10-9 ქულა (ძალიან კარგი):** პრაქტიკული დავალება ზუსტად და ამომწურავად არის შესრულებული, შეუძლია სამუშაოს სწორად დაგეგმვა, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად შეიმუშავეს სტრატეგიას; სწორად აფასებს მიღებულ შედეგებს. პრაქტიკული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემის გადასაწყვეტად შეუძლია შეიმუშაოს შესაბამისი მიდგომა, ამასთანავე განიხილავს ალტერნატიულ შესაძლებლობებს და სწორად აკეთებს მიღებული შედეგის ანალიზს;

**8-7 ქულა (კარგი)**-პრაქტიკული დავალება კარგად არის შესრულებული, შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, იყენებს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელ უნარებს, მაგრამ დავალების შესრულებისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს. აკლია დამაჯერებლობა, პრაქტიკული საქმიანობის დროს წამოჭრილ პრობლემას აფასებს, შეიმუშავეს შესაბამის მიდგომას, მაგრამ ნაკლებადაა დაინტერესებული მიღებული შედეგების გაუმჯობესებით.

**6-5 ქულა (დამაკმაყოფილებელი)**-პრაქტიკული დავალება დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, ნაწილობრივ იყენებს დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელ უნარებს, დავალების შესრულებისას უშვებს არსებით შეცდომებს, რაც აისახება შესრულებულ პრაქტიკულ დავალებაში. ამასთან სტუდენტი ნაკლებადაა დაინტერესებული მიღებული შედეგების გაუმჯობესებისათვის.

**4-1 ქულა (არადამაკმაყოფილებელი)**-პრაქტიკული დავალება არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, არ შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, ვერ იყენებს დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელ უნარებს, დავალების შესრულებისას უშვებს არსებით შეცდომებს.

## 3. მე-5 საფეხურის პროგრამისათვის

**10-9 ქულა (ძალიან კარგი):** პრაქტიკული დავალება ზუსტად და ამომწურავად არის შესრულებული, სტუდენტი პრაქტიკული საქმიანობის დროს იყენებს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების

ფართო სპექტრს, სწორად აფასებს წამოჭრილ პრობლემებს, ახდენს მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირებას, ანალიზს და აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს.

**8-7 ქულა (კარგი)**-პრაქტიკული დავალება კარგად არის შესრულებული, პრაქტიკული საქმიანობის დროს იყენებს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს, შეუძლია შეაფასოს წამოჭრილი პრობლემები, მათი გადაჭრისათვის ახდენს სათანადო მონაცემების იდენტიფიცირებას, მაგრამ მის მიერ გაკეთებულ ანალიზსა და დასკვნებს აკლია დასაბუთება;

**6-5 ქულა (დამაკმაყოფილებელი)**-პრაქტიკული დავალება დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, სტუდენტი პრაქტიკული საქმიანობის დროს სრულყოფილად ვერ იყენებს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს, ნაწილობრივ შეუძლია შეაფასოს წამოჭრილი პრობლემები, მათი გადაჭრისათვისათვის ვერ სახავს მიზნობრივ გზებს, შესაბამისად მის მიერ გაკეთებული ანალიზი და დასკვნები ნაკლებად დასაბუთებულია.

**4-1 ქულა (არადამაკმაყოფილებელი)**-პრაქტიკული დავალება არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, სტუდენტი პრაქტიკული საქმიანობის დროს ვერ იყენებს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს.